# საქართველოს მთავრობის
# განკარგულება

N 600 2024 წლის 23 აპრილი ქ. თბილისი

## საქართველოში გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის საელჩოს საზღვარგარეთ სასკოლო სწავლების ცენტრალური ოფისისთვის (ZfA) სახელმწიფო ქონების სარგებლობაში გადაცემაზე სსიპ – ქალაქ თბილისის №21 საჯარო სკოლისათვის თანხმობის მიცემის შესახებ

„სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის 36-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, მიეცეს თანხმობა სსიპ – ქალაქ თბილისის №21 საჯარო სკოლას, თავის სარგებლობაში არსებული, ქ. თბილისში, პეტრიაშვილის ქ. №7-ში მდებარე უძრავი ქონების (მიწის (უძრავი ქონების) ს/კ: №01.15.02.002.024) ნაწილი, კერძოდ, საჯარო სკოლის №1 შენობა-ნაგებობის პირველ სართულზე არსებული ოთახი (29,12 კვ/მ ფართი) დროებით სარგებლობაში, უსასყიდლოდ, აუქციონის გარეშე, თხოვების ფორმით, 3 (სამი) წლის ვადით გადასცეს საქართველოში გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის საელჩოს საზღვარგარეთ სასკოლო სწავლების ცენტრალურ ოფისს (ZfA).

პრემიერ-მინისტრი ირაკლი კობახიძე